იურიდიული დახმარების სამსახური

მის: თამარ მეფის გამზ. №14, 0112
თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 55 „28" „ივლისი" 2017 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში ცვლილების განხორციელების შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების 26–ე მუხლის 2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ცვლილება შევიდეს იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების პირველი მუხლის მე–4 პუნქტში, IV თავის სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„4. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი 140ა.

თავი IV. სამსახურის აპარატის ცალკეულ თანამდებობათა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა (დამხმარე ფუნქციების შესრულების მიზნით) ფუნქციები"

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: ეკატერინე ფოფხაძე

საბჭოს წევრები: ზაზა ხარებავა

მარინე კვაჭაძე

ბონდო ალასანია

ლიკა წიკლაური

ლალი ჩაველიშვილი